<u>**პროექტი**</u>

საქართველოს ორგანული კანონი
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19/02/2014 სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 34-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება, მისი უფლებამოსილების შეჩერება“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გარდა ამ კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერდება, აგრეთვე, ამ კანონის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გამგებლის/მერის მოვალეობის შესრულებისას.“;

2. 36-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან მისი გადადგომის ან გადაყენებისას, აგრეთვე, მისთვის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში.“

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/მოადგილეები არჩეული არ არიან, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების საკითხი რეგულირდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

3. 56-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას გამგებლის/მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე ასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე, თუ გამგებლის/მერის პირველი მოადგილე თანამდებობაზე დანიშნული არ არის - გამგებლის/მერის მოადგილე, ხოლო თუ გამგებელს/მერს ორი ან მეტი გამგებლის/მერის მოადგილე ჰყავს, მაშინ - ასაკით უხუცესი გამგებლის/მერის მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ გამგებლის/მერის პირველი მოადგილე ან გამგებლის/მერის მოადგილე დანიშნული არ არის, გამგებლის/მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე გამგებლის/მერის მოვალეობას ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების შეთხვევაში გამგებელი/მერი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გამგებლის/მერის მოვალეობის შემსრულებელი გამგებლის/მერის მოადგილე, მათ შორის პირველი მოადგილე.“

4. 71-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომისას ან გადაყენებისას, აგრეთვე, მისთვის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 43-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო თუ პირველი მოადგილე არჩეული არ არის, თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრება ერთ-ერთ მოადგილეს საკრებულოს რეგლამენტის დადგენილი წესით. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არცერთი მოადგილე არ არის არჩეული, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების საკითხი რეგულირდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქ. ქუთაისი
----------, 2017 წ.
№---